



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 19

„30“ მარტი 2016 წელი

სააუქციონო პირობების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

1. ეთერი გიოშვილს (პირადი №20001003487) თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი პირობების შესრულების ვადა გაუგრძელდეს 2017 წლის 01 ნოემბრამდე (2014 წლის 08 აპრილს თელავის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მიერ ჩატარებული აუქციონი, თელავის მუნიციპალიტეტსა და ლექსო წულუკიძეს (პირადი №20001013600) შორის 2014 წლის 08 აპრილს დადებული პირობიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №1-ით ნაკისრი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 645 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კოდი №53.08.37.121) შესასრულებელი სააუქციონო პირობები (ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლა)).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი

პაატა გიორგობიანი